

FOR THE TRAVEL GENRE DISCOURSE IN GEORGIAN ARTISTIC TEXTS

სამოგზაურო ჟანრის დისკურსისათვის ქართულ მხატვრულ ტექსტებში

Tamar Gogoladze

Doctor of Philology,

Professor of Gori State University,

Chavchavadze St. 53, Gori, 1400, Georgia,

+995577251272, tamilagogoladze@gmail.com

<https://orcid.org/0000-8706-2102>

Abstract. The specificity of the travel (traveller, travel diary) text led to its assignment to one or another genre of fiction, which was defined as a documentary-epic variety (along with diaries, memoirs, essays, and others). Over the centuries, the mentioned genre was dominated by travel texts of different eras (in the form of travel texts, writings by authors who have been abroad or in different parts of Georgia), which mainly came down to us in manuscript form, and their publication became possible only in the 19th-20th centuries. The researchers Avtandil Nikolaishvili, Darejan Menabde worked on the mentioned issues, and the works of the mentioned genre are extensively reviewed in their works, while the records of the 19th century were studied by different researchers independently or together with other works. Our article mainly deals with travel texts of the 21st century with the aim of highlighting their specific features in the new era. From this point of view, the three travel books of the writer, naturalist Archil Kikodze ("Norway Diary", "Mexico Diary", "India Diary") are particularly important.

Keywords: Travel text, Documentary-epic genre, Archil Kikodze.

თამარ გოგოლაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. 53, 1400, საქართველო

+995577251272, tamilagogoladze@gmail.com

<https://orcid.org/0000-8706-2102>

აბსტრაქტი. სამოგზაურო (მოგზაურული, მოგზაურობის, სამგზავრო დღიური) ტექსტის სპეციფიკამ განაპირობა მისი მიკუთვნება მხატვრული ლიტერატურის ამა თუ ჟანრისადმი, რაც განისაზღვრა როგორც დოკუმენტურ-ეპიკურის სახესხვაობა (დღიურებსა, მემუარებსა, ნარკვევებსა და სხვებთან ერთად). საუკუნეთა მანძილზე აღნიშნული ჟანრი დომინირებდა სხვადასხვა ეპოქის სამოგზაურო ტექსტების (მიმოსვლათა, უცხოეთსა თუ საქართველოს კუთხეებში ნამყოფ ავტორთა თხზულებების

სახით), რაც, ძირითადად, ხელნაწერით მოვიდა ჩვენამდე და მათი პუბლიკაცია მხოლოდ XIX-XX საუკუნეებში გახდა შესაძლებელი. აღნიშნულ საკითხებზე მუშაობდნენ მკვლევარნი: ავთანდილ ნიკოლაიშვილი, დარეჯან მენაბდე, რომელთა ნაშრომებში ვრცლადაა მიმოხილული აღნიშნული ჟანრის თხზულებანი, ხოლო XIX საუკუნის ჩანაწერები სხვადასხვა მკვლევართა მიერ იქნა შესწავლილი დამოუკიდებლად, თუ სხვა ნაწარმოებებთან ერთად. ჩვენი სტატია კი, ძირითადად, XXI საუკუნის სამოგზაურო ტექსტების განხილვას ისახავს მიზნად მათი სპეციფიკური ნიშნების გამოკვეთით ახალ ეპოქაში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწერლის, ნატურალისტის, არჩილ ქიქოძის სამოგზაურო ჟანრის სამი წიგნი („ნორვეგიული დღიური“, „მექსიკური დღიური“, „ინდოეთის დღიური“).

საკვანძო სიტყვები: სამოგზაურო ტექსტი, დოკუმენტურ-ეპიკური ჟანრი, არჩილ ქიქოძე.

შესავალი. დოკუმენტურ-ეპიკური (დოკუმენტურ-თხრობითი) ჟანრი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა მსოფლიო ლიტერატურაში უძველესი დროიდანვე. ლიტერატურათმცოდნენი ინტერესით შეისწავლიან მის სხვადასხვა სახეობებს, მაგრამ სახესხვაობა - სამოგზაურო (მოგზაურული, მოგზაურის, სამოგზაურო დღიური) ჟანრი არაერთხელ გამხდარა ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის სფეროში მომუშავე მკვლევართათვის არცთუ ისე დასაბუთებული კვლევის ობიექტი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ავთანდილ ნიკოლაიშვილსა და დარეჯან მენაბდეს, რომელთაც არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნეს აღნიშნულ ჟანრს, ძირითადად, ძველ ქართულ მწერლობაში. როგორც დარეჯან მენაბდე შენიშნავს, „სამგზაურო დღიური, როგორც ლიტერატურული ჟანრი საქართველოში სამოგზაურო ლიტერატურის აღმოცენებასთან ერთად იკიდებს ფეხს... ავტორის ყოველდღიური (უმეტესად - დათარიღებული ჩანაწერები, პირველ პირში თხრობა, თხრობის უშუალოება და თავისუფლება ის მახასიათებლებია, რომლებიც გამოარჩევს მასთან დაახლოებული ლიტერატურული ფორმებისაგან (მოგზაურობანი, მემუარები, ჩანაწერები, რვეულები...). სამოგზაურო დღიური საგულისხმო მასალას იძლევა ავტორის მსოფლმხედველობითი დისკურსის შესასწავლადაც“ (მენაბდე, თ.გ.: 1) მკვლევარი აქ უშუალოდ სამგზაურო დღიურებზე ამახვილებს ყურადღებას (XIX ს. I ნახევარი), მაგრამ მნიშვნელოვანია სამოგზაურო ჟანრიდან სამგზაურო დღიურის გამოყოფა, მით უმეტეს, რომ სხვადასხვა ტექსტში ზოგან დღიურია, ზოგან მგზაურის შთაბეჭდილებების გავრცობილი ჩვენება, რაც უფრო დამახასიათებელია XXI საუკუნის ავტორისათვის (ა. ქიქოძე). სხვადასხვა დროს სამოგზაურო ჟანრის განმარტება მოცემულია ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოებსა თუ ლექსიკონებში.

„მოგზაურობა“ - დოკუმენტური თხრობითი ნაწარმოები, რომელშიც ავტორი გადმოგვცემს მოგზაურობისას ნახულ და განცდილ შთაბეჭდილებებს, დაკვირვებებს, თავგადასავალს“ (ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, 1966: 83).

„მოგზაურობა“ - მოგზაურობის ჟანრის შინაარსის გარკვევაში ორი მომენტია გასათვალისწინებელი:

ა) მოგზაურობა, როგორც მხატვრული ლიტერატურის ჟანრი.

ბ) მოგზაურობა, როგორც ისტორიული და პუბლიცისტური ჟანრის თხზულებათა სახეობა...

ამ ჟანრის ნაწარმოები არაა შეზღუდული მკაცრი კომპოზიციურ-სიუჟეტური ნორმებით. ამის გამო მხატვრული სიტყვის ოსტატები ზოგჯერ განგებ მიმართავენ გამოსახვის ამ ფორმას, რითაც მწერალს ეძლევა ყველა პოეტური ჩანაფიქრის

შეუზღუდავად გადმოცემის საშუალება. აქ შეიძლება დღიურის გამოყენება და ისეთი ამბების გადმოცემა, რომელთაც არ აკავშირებს მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობა. მწერალს უფლება აქვს, როგორც უნდა, ისეთი პასაჟი ჩასვას, ეს იძლევა დიდ შესაძლებლობას ზრახვებისა და სურვილების მხატვრული გადმოცემისათვის“. (ჭილაია, 1971: 269-270).

„მოგზაურული ჟანრის ნაწარმოებთა ორი სახეობა უნდა გავარჩიოთ. ერთ შემთხვევაში მწერალი მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს მხატვრულად, მაგრამ დოკუმენტური სიზუსტით, გვამღევს ცნობებს, მის მიერ ნანახ მხარეთა რელიეფის, კლიმატის, დასახლების, ადამიანთა ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ.

ასეთი ხასიათის ნაწარმოებებს უპირატესად ისტორიულ-ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება მეორე სახეობას, მასში მოგზაურობა გამოყენებულია ფონად, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, მხატვრულ ხერხად, რომელსაც მწერალი თავისი სოციალ-პოლიტიკური თუ ეროვნული იდეალების განსახოვნებისათვის იყენებს“. (ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, 1986: 475-476)

„**მოგზაურობა**“. ლიტერატურული ჟანრი, ნაწარმოები, რომელშიც მოტანილია მ-ის ამბები: ჩვეულებრივ შედგება ავტორისეულ აღწერის, თხრობისა და მსჯელობისაგან. მ. ორგანო: 1. როდესაც ავტორი თავად მოგზაურობს და მ. დგება, როგორც მისი დღიურის მემუარები და, ამდენად, ინფორმაციულად საინტერესოა არა მხოლოდ ლიტერატურული თვალსაზრისით; 2. მხატვრული ნაწარმოები, რომლის სიუჟეტი და კომპოზიცია აგებულია რეალური მ-ის აღწერის ძირითადად ეპიკური ჟანრით, მაგრამ არის დრამატურული ფორმით დაწერილი მ-ც“. (ჭილაია, 2003: 110-111).

„**დოკუმენტური ეპიკური ჟანრები**“. დოკუმენტური ეპოსის ჟანრულ სახესხვაობას წარმოადგენენ: ნარკვევი, ბიოგრაფიული რომანი, მემუარები, **მოგზაურობის ჟანრი**, ავტობიოგრაფია და სხვა... (გაფრინდაშვილი & მირესაშვილი, 2008: 309).

ზემოთმოყვანილი ამონარიდები ლიტერატურათმცოდნეთა ნააზრევიდან ცხადყოფს, რომ მთლად არაა გამოკვეთილი სამოგზაურო ჟანრის ზუსტი დეფინიცია, მისი სახესხვაობები, ეპოქათა მიხედვით თავისებურებანი, სტილი. აღნიშნული საკითხების ზოგადი მიმოხილვაც, განსაკუთრებით XXI საუკუნის ნიმუშებისა, ვფიქრობთ, მეტ-ნაკლებად ნათელს მოჰფენსა ზოგიერთი პასუხაუცემელ თუ ბუნდოვან საკითხს.

მეთოდები. შედარებით-ტიპოლოგიური

შედგები და მსჯელობა. სამოგზაურო ჟანრის განვითარება საუკუნეთა მანძილზე რამდენადმე გაპირობებული იყო მათი ავტორების მსოფლმხედველობით, სახელმწიფოებრივი პოლიტიკით, მეცნიერული შესწავლის მიზნებით, რელიგიური აღმსარებლობიდან გამომდინარე და სხვ. განსხვავებას ქმნიდა ავტორის სტილიც და მისი პიროვნული იერის ჩართვა. ტექსტში იგრძნობოდა დაინტერესების სფეროც და თვით ფორმაც. როგორც შესავალ ნაწილში ითქვა, სამოგზაურო ჟანრის ტექსტის ფორმა შეიძლება ყოფილიყო დღიური, მოგზაურობის შთაბეჭდილებათა ასახვა გზა და გზა, მაგრამ არ იყო კომპოზიცია, არც სიუჟეტი, რასაც ხელი უნდა შეეწყოს მკითხველის დაინტერესებისათვის, იქნებოდა ეს ხელნაწერსა თუ პუბლიკაციაში. რაღაცას უნდა დაეინტერესებინა მკითხველი: უცხო ქვეყნის წერილობით გაცნობის საფუძველზე. ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას, შთაბეჭდილებათა გადმოცემის მანერას თუ თვით ავტორის მოგზაურობის პროცესში ქმედებებს. ყოველივე ეს სხვადასხვა დროს გამოიკვეთა სამოგზაურო ჟანრის ტექსტებში. მაგალითად, ძველი ქართული მწერლობის ტექსტებში წარმოჩინდა ავტორ-მოგზაურის რელიგიური განწყობილებანი (ს.ს.

ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, ტიმოთე გაბაშვილის, გიორგი ავალიშვილის, პეტრე კონჭოშვილის დღიურები), რომლებშიც ავტორი შთაბეჭდილებებსაც აღწერს, პეიზაჟს, გზაზე შეხვედრებს, დიალოგებს (გრ. ორბელიანის „მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდე“), ისტორიული ძეგლების, გაგონილ-წაკითხულის ცოცხალი, რეალური ცხოვრების ასახვასაც (გ. ერისთავის („ჩემი მოგზაურობა ევროპაში“), ეთნოგრაფიულ-ფოლკლორისტული კუთხით დათვალიერებას (ილია ალხაზიშვილის, თედო სახოკიას, გიორგი ყაზბეგის და სხვ.), რაც კარგად იკვეთება XVIII-XIX საუკუნეების სამოგზაურო ტექსტებში).

რაც შეეხება XX საუკუნის ტექსტებს, აქ უკვე იგრძნობა ახალი შტრიხებიც - „საბჭოური იდეოლოგიის ჭოგრიტით“ ვიზუალი (ტიციან ტაბიძის „ქართველი მწერლები სომხეთში“, ანა ღვინიაშვილის „კართაგენის ნანგრევებთან“) მწერლის მიერ, თითქმის ფანტასტიკური საბავშვო მოგზაურობა (აკაკი გელოვანის „ჯადოსნური მოგზაურობა“), მოგზაურობა მეცნიერული კვლევის პროცესის პარალელურად (ირაკლი აბაშიძის „პალესტინის დღიური“) და სხვ.

კარგადაა გამოკვეთილი ლიტერატურათმცოდნეობით ნააზრევში საჭოჭმანო-სადისკუსიო საკითხი: ითვლება თუ არა სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებად ის ტექსტი, რომელშიც მოგზაურობა მხოლოდ ფონია მხატვრული ნაწარმოებისათვის (ილია ჭავჭავაძის „მოგზავრის წერილები“, გიორგი წერეთელის „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“). ვფიქრობთ, თუ გამოვყოფთ ჭეშმარიტად მოგზაურის შთაბეჭდილებების ამსახველ ტექსტებს, ფონად არსებულს, თუმცა სათაურით თითქოსდა სამოგზაუროს („მოგზავრის წერილები“, „მოგზავრის წიგნი“...), ამკარა გახდება, რომ არაფრით შეიძლება მათი ერთი ჟანრობრივი სახესხვაობის ტექსტის ქუდქვეშ მოთავსება. რამდენადაც ყველაფერი ავტორის მსოფლმხედველობის ერთგვარი ნაწილია და იგი მხატვრულ ტექსტს უფრო წარმოადგენს, ვიდრე - სამოგზაუროს. ამკარა ხდება, რომ კვლევა სამოგზაურო ჟანრის ჭეშმარიტი განსაზღვრისათვის კვლავ სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს. ამჯერად კი წინამდებარე სტატიაში შევეცდებით წარმოვადგინოთ ის ძირითადი, რაც მიიღო 21-ე საუკუნეში სამოგზაურო ჟანრმა წარსული მემკვიდრეობიდან და რაც შეიძინა ახალ ეპოქაში. ამ თვალსაზრისით საანალიზოდ შევარჩიეთ მწერლის. ნატურალისტის, არჩილ ქიქოძის ნორვეგიული, მექსიკური და ინდური დღიურები. აღნიშნულ ტექსტებს, თუმცა **დღიური** აქვს სათაურად („ნორვეგიული დღიური“, 2020 წ., „მექსიკური დღიური“, 2022 წ.), არაა მთლად დღიური. იგი წარმოაჩენს მწერლის შთაბეჭდილებათა პროცესს თანმიმდევრულად, მაგრამ არა დღიურების (თარიღების სახით). თვით ავტორი „ინდოეთის დღიურის“ პირველ თავში („მეგობრობისა და სიკვდილის შესახებ“) მიანიშნებს: „ეს წიგნი დევიდს არ ეძღვნება, საერთოდ არავის არ ეძღვნება. მეტიც, ამ დღიურის დაწყება მაშინებს. არ ვიცი, რა გამომივა, რადგან პირველად უნდა მოვყვე ქვეყანაზე, რომელიც ჩემი მეორე ან მესამე სახლად არ იქცა, სადაც არ შემიძენია მეგობარი და სადაც ტურისტი უფრო ვიყავი, ვიდრე მოგზაური. ამიტომაც დავწერ ისე, როგორც დევიდს და სხვა მეგობრებს მოვუყვებოდი და, დაე, იმ ყველაზე კაშკაშა მოგონებებისაგან იყოს შეკოწიწებული, რომლებსაც ყველა ჩემიანს გავუზიარებდი, რომ ერთად ჩავფიქრებულყავით ან გაგვეცინა“ (ქიქოძე, 2023: 8).

ამონარიდი ცხადყოფს მწერლის მიზანსწრაფვასაც და იმ ბუნდოვანებას, რაც დასახელებულ სამოგზაურო დღიურებთან არის დაკავშირებული. ამდენად, მიუხედავად თანამიმდევრობისა, რომელშიც ალაგ-ალაგ ჩართულია მოგონებანი, იგი არაა დღიური და არც „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ წიგნის „ნატურალისტურ-ლიტერატურული მოგზაურობის“ ქუდქვეშ მოქცევით რაიმე ჟანრისადმი მიკუთვნების მცდელობით. თავად ავტორი „მექსიკური დღიურის“ ბოლოს ამაზეც მიგვანიშნებს „ამ წიგნს დღიური ძალიან პირობითად ჰქვია, რადგან ის ორ ნაწილად დავწერე, თბილისში უმშვენიერეს ქვეყნიდან ორჯერ დაბრუნებულმა. „მექსიკური დღიური“ მონატრებამ

დამაწერინა, მინდოდა მომეთხრო ის, რაც ვნახე და განვიცადე სახლიდან შორს, ხან მარტოდმარტომ და ხანაც ღირსეული ადამიანებით გარემოცულმა.

ეს არც ტურისტული გზამკვლევია და არც რომანი მე თვითონაც არ ვიცი, რა ჟანრისაა წიგნი, რომლის წერაც მხოლოდ სიხარული იყო ჩემთვის, ისევე როგორც ქვეყანა, რომლის ხალხის და ბუნების აღწერაც გაბედე“ (ქიქოძე, 2022).

ბუნებრივია, ამ ტექსტის მიკუთვნება ამათუ იმ ჟანრისადმი თავად მწერლის წერის ერთგვარი მანერაა, რამდენადაც განათლებული, კომუნიკაბელური, ინგლისური ენის მცოდნე, ტურისტებთან ურთიერთობაში გარკვეული (სად, როგორ, ტურისტის მოთხოვნილება-სურვილებით გაპირობებული), ნატურალისტის ნანახი, ფოტოფიქსირების მოყვარული ადამიანისათვის საკმაო რაოდენობით შეიცავს ყოველივე ზემოჩამოთვლილის ელემენტებს, რისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა არჩილ ქიქოძეს მისცა ლიტერატულმა ფესტივალებმა სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც იგი იგზავნებოდა ქართველი მწერლების დელეგაციასთან ერთად. (თუმცა იშვიათად ძალიან ცოტას საუბრობს მათზე).

უპირველესად დასადგენია, არის თუ არა სამივე ზემოჩამოთვლილი წიგნი სამოგზაურო ჟანრისა ან დღიური და განსხვავებიდან თუ არა ერთმანეთისაგან ამ თვალსაზრისით. აშკარაა, რომ მწერლის სტილი აქ მეტად ორიგინალურია, შეიძლება ითქვას, თვით მისი ბუნებიდან გამომდინარე, განსხვავებული ტრადიციისაგან მისი ელემენტებიც მოჩანს ქალაქების, ადამიანების აღწერისას, შთაბეჭდილების მწერლურ ლაბორატორიაში გადამუშავების შედეგად, რამდენადაც ნანახი არ ფიქსირდებოდა მაშინვე ჩანაწერების სახით (ჩვენი ვარაუდით). ამდენად ქიქოძემ ერთგვარად მისცა თავის წიგნებს სამოგზაურო ტექსტის განსაკუთრებული ფორმა (სათაურში - დღიური) თუმცა აღწერის პროცესი გვიანდელია, გიორგი ერისთავიც, რომელსაც მართლაც დღიურის ფორმით აქვს აღწერილი ევროპაში მოგზაურობა (თუმცა გავრცობას და ცალკე ტექსტად ჩამოყალიბებას აპირებდა), მოგვიანებით ა. ქიქოძის აღწერაში კარგად მოჩანს რეოგორც საკუთარი წარმომავლობის (ქართველი), ისე მსოფლიოს მოქალაქის (რომელიც თავისუფლად საუბრობს სამოგზაუროდ შერჩეულ ქვეყანაში იქაურებთან, მეგობარ მწერლებთან აქვს საკმაო ცოდნა და გამოცდილება) სახით. ეს კი საშუალებას აძლევს მწერალს თავად მკითხველიც დააინტერესოს, „აიყვანოს“ ისე, როგორც მომაჯადოებელი რომანის წაკითხვისას, სადაც სულ არაა არც სასიყვარულო ინტრიგა, არც ადამიანებთან დაპირისპირება ან ერთობა, არაფერი ისეთი, რაც მოხიბლავდა მკითხველს. მაშ რაშია ა. ქიქოძის, როგორც მოგზაურის, როგორც მწერლის, მანერა, სტილი, რაც ხიბლავს მკითხველს?

აღწერის მანერიდან გამომდინარე, არჩილ ქიქოძე წერს ქვეყნებისადმი, ბუნებისადმი, ადამიანებისადმი დიდი სიყვარულით, რაც ერთგვარად მოგვაგონებს XX საუკუნის 60-იანი წლების საყვარელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის მანერას: „მიყვარს, ადამიანს რაღაცა მოუხელთებელი რომ გამოჰყვება ხოლმე ბავშვობიდან. და მერე ეს რაღაც ლამაზდ გაკრთება სურვილში, მოძრაობაში, სიცილში...“ (ქიქოძე, 2020: 26). ასეა, ალბათ, ჰემინგუეის წაკითხვის შემთხვევაშიც.

მწერალი არაიშვიათად საუბრობს საკუთარ თავზე, ქმედებებზე, ნორვეგიელ მწერალ ერლენდ ლუსთან ინტერვიუში კი იკვეთება მისი მსოფლხედვა: „**ე.ლ.** - აუცილებელია ამ ტრადიციებიდან გასვლა. (იგულისხმება ნაციონალური ლიტერატურული ტრადიციები - თ.გ.) თუ გინდა და გრძნობ, რომ ასე გირჩევნია, შეგიძლია მათი გზა გააგრძელო. მაგრამ ასეთი ვალდებულება არ არსებობს. ეს სავალდებულო არ უნდა იყოს. უნდა წერო შენი წიგნები. მხოლოდ შენი ამბები და არ არის აუცილებელი, ყველგან შენი ერი გაურიო ან ერის საკითხები ილაპარაკო... - მწერალი საკუთარ თავს უნდა ჩაუღრმავდეს და აღმოაჩინოს ის, რაც მისთვის პიროვნულად ყველაზე მნიშვნელოვანია, მე ამას ვაკეთებ, მე საკუთარ თავს ვუგდებ ყურს, საკუთარ ინსტიქტებს მივყვები“ (ქიქოძე, 2020: 30).

თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მწერალი უარყოფს ლიტერატურულ ტრადიციას. ა. ქიქოძის მის მოგზაურობებში ჩანართებად ყოველთვისაა მოგონებანი საქართველოზე, თბილისზე, სიამაყე იმ ქართველობით, რაც მხოლოდ მას არ ახასიათებს. ნორვეგიის აღწერისასაც მექსიკის, ინდოეთის აღწერა იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ეს გაგონილ-წაკითხულს ცხადლივ თითქმის უკავშირდება. აქ კი საქართველო და ქართველობა თემატურ კავშირშია ნანახის შედეგად ოცდამეერთე საუკუნის მწერლის მეხსიერებაში ასოციაციებთან.

მთავარი კი ისაა, რომ ა. ქიქოძის მიერ აღწერილი ნორვეგია მკითხველისათვის სხვაგვარად აღიქმება ა. ღვინიაშვილის სამოგზაურო ტექსტთან. შედარებისათვის მოგვყავს ამონარიდები ა. ღვინიაშვილისა და ა. ქიქოძის წიგნებიდან.

ანა ღვინიაშვილი

„ყველამ იცის, რომ ნორვეგიას მთელი ოთხი წელი დანია და შვეცია ფლობდნენ. ქვეყანამ მხოლოდ მეორე მსოფლიო იმის შემდეგ მოიპოვა თავისუფლება საბჭოთა არმიის დახმარებით. ტრამპლინის გზაზე მშვენიერი სასაფლაოს გზის პირად საბჭოთა ჯარისკაცის უზარმაზარი ძეგლის დგას. ძეგლი მუდამ გვირგვინებით და ყვავილებითაა შემკული, როცა ნორვეგიელები თავის განთავისუფლების დღეს აღნიშნავენ, ხალხმრავალი მიტინგი სწორედ ამ ძეგლთან ტარდება. ჩვენ დიდხანს შევჩერდით ამ დიდებული ძეგლის წინ“, (ღვინიაშვილი, 1968: 23).

არჩილ ქიქოძე

„ნორვეგია ჩრდილოეთის ულამაზესი ქვეყანაა, რომელიც დღემდე მეჩხერადაა დასახლებული, შვედების, დანიელებისა და ისლანდიელების მსგავსად, ნორვეგიელები სკანდინაველები არიან. მათი წინაპრები იყვნენ მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი და ძლიერი მებრძოლები - ვიკინგები“ (ქიქოძე, 2020: 7).

როგორც ვხედავთ, XX საუკუნის მოგზაურს საბჭოური იდეოლოგიით, აინტერესებს ნორვეგიის გათავისუფლება და ამაში საბჭოთა ჯარისკაცების როლი. XXI საუკუნის მოგზაურს კი ქვეყნის ისტორიაც მხოლოდ ნანსენის, ამუნდსენის მოგზაურობებთან დაკავშირებით აინტერესებს და მოჰყავს აზრები ნორვეგიელების წინაპრებზე - ვიკინგებზე. საერთოდ კი, „ნორვეგიის დღიურში“ ა. ქიქოძე უფრო მეტს მსჯელობს ცნობილ მოგზაურებაზე და მწერლებზე, ვიდრე ძეგლებზე. აქაც თავებია დასათაურებით. ეს სტილი დასათაურებისა გასდევს „მექსიკურ დღიურსაც“ და „ინდოეთის დღიურსაც“, აქედან თითქოს ესეივ იკვეთება უფრო, ვიდრე სამოგზაურო ტექსტი, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწერლის მანერა თავი უფრო მწერლად ან ნატურალისტად წარმოაჩინოს, რომელსაც ახლავს ავტორის ფიქრები, ასოციაციები, მოვლენათა თუ ადამიანების ქმედებების შეფასებანი. ეს კი უფრო ახალია 21-ე საუკუნისათვის. მხოლოდ სამოგზაურო ტექსტს თითქოს ვერ დავარქმევდით სამივე „დღიურს“, მაგრამ აშკარად გაპირობებულია, რომ ეს მხოლოდ ჟანრის ავტორისეული წარმოჩენის სურვილით. ტექსტები შეიცავს არა მხოლოდ ადგილების, ადამიანების, ფრინველებისა და ცხოველების აღწერას, არამედ მათგან აღძრულ ასოციაციებსაც, რაც 21-ე საუკუნის მწერალ-მოგზაურისათვის სავსებით ახალ, სამოგზაურო ჟანრის განვითარებად ფორმად წარმოგვიდგება, რომელშიც მოჩანს არამარტო აწმყო, არამედ - წარსულიც.

დასკვნები.

1. 21-ე საუკუნემ დააყენა ახალი ფორმა სამოგზაურო ჟანრის ტექსტისა, რომლის ნიმუშადაც გვევლინება არჩილ ქიქოძის სამი სამოგზაურო ტექსტი („ნორვეგიული დღიური“, „მექსიკური დღიური“, „ინდოეთის დღიური“).

2. ახალი საუკუნის სამოგზაურო ჟანრი აუცილებელი არაა იყოს დღიურის ფორმით დაწერილი, თუნდაც ეს მოჩანდეს ტექსტის სათაურში ა. ქიქოძის სამოგზაურო ტექსტები

გამოირჩევა მწერლის ორიგინალური მანერით, რაშიც მოჩანს ქართველი მწერალ-მოგზაურის თვალთ აღქმული ქვეყნები, ადამიანები, ბუნება.

3. სამივე ტექსტი შეიცავს სამოგზაურო ჟანრისათვის დამახასიათებელ თითქმის ყველას და, ამავედროულად, განსხვავებულს, მხოლოდ მისთვის საინტერესოს და ამავე დროს მკითხველისათვის საინტერესოს.

4. ა. ქიქოძის სამოგზაურო ჟანრის ტექსტები ახალია 21-ე საუკუნეში თვით ჟანრის განვითარების პროცესის წარმოსახვისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

გაფრინდაშვილი, ნ., & მირესაშვილი, მ. (2008). *ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები*. თბილისი.

ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი. (1966). თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.

ლიტერატურის თეორიის საფუძვლები. (1986). თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

მენაბდე, დ. (თ.გ.). *სამგზავრო დღიურის მსოფლმხედველობითი დისკურსისათვის*. მოძიებულია ვებგვერდიდან:

<https://his.openjournals.ge/index.php/his/article/view/6229/6235>

ტაბიძე, ტ. (1985). *ლექსები, პოემები, პროზა, წერილები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

ქიქოძე, ა. (2022). *მექსიკური დღიური*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ქიქოძე, ა. (2020). *ნორვეგიული დღიური*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ქიქოძე, ა. (2023). *ინდოეთის დღიური*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ღვინიაშვილი, ა. (1968). *კართაგენის ნანგრევებთან*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.

ჭილაია, ა. (1971). *ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ცნებები*. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.

ჭილაია, რ. (2003). *ლიტერატურათმცოდნეობა. ენციკლოპედიური ცნობარი*. თბილისი: გამომცემლობა „თობალისი“.

REFERENCES

gaprindashvili, n., & miresashvili, m. (2008). *lit'erat'uratmtsodneobis sapudzvlaebi [Basics of literary studies]*. Tbilisi.

lit'erat'uratmtsodneobis t'erminta mok'le leksik'oni [A short dictionary of literary terms]. (1966). Tbilisi: Publishing House „Nakaduli“.

lit'erat'uris teoriis sapudzvlaebi [Basics of literary theory]. (1986). Tbilisi: Publishing House „Ganatileba“.

menabde, d. (n.d.). *samgzavro dghiuris msoplmkhedvelobiti disk'ursisatvis [For worldview discourse of travel diary]*. Retrieved from

<https://his.openjournals.ge/index.php/his/article/view/6229/6235>

t'abidze, t'. (1985). *leksebi, p'oemebi, p'roza, ts'erilebi [Poems, prose, letters]*. Tbilisi: Publishing House „Merani“.

kikodze, a. (2022). *meksik'uri dghiuri [Mexican Diary]*. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing House.

kikodze, a. (2020). *norvegiuli dghiuri [Norwegian Diary]*. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing House.

kikodze, a. (2023). *indoetis dghiuri [Diary of India]*. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing House.

- ghviniashvili, a. (1968). *k'artagenis nangrevebtan [Nearby the ruins of Carthage]*. Tbilisi: Publishing House „Nakaduli“.
- ch'ilaia, a. (1971). *lit'erat'uratmtsodneobis dziritadi tsnebebi [Basic concepts of literary studies]*. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
- ch'ilaia, r. (2003). *lit'erat'uratmtsodneoba. entsik'lop'ediuri tsnobari [Literary studies. Encyclopedic reference]*. Tbilisi: Publishing House „Tobalisi“.